ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №150007

ნომერი: AR143813

თარიღი : 25.04.2012

გაცემის თარიღი : 07.05.2012

გაცნობის თარიღი : 07.05.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გ. აბესაძე , N 23 (იგივე N 1/23) ; ქალაქი თბილისი , მოედანი გუდიაშვილის , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ტარიელ ცოფურაშვილი პ/ნ 01008012602
- ძმები ზუბალაშვილების 48

ორგანიზაცია:

- ააიპ თბილისის განვითარების ფონდი კოდი: 404384974

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და

სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენს განცხადებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საკითხი, ქ. თბილისში, გ. აბესაძის 23 (1/23) , გუდიაშვილის მოედანი 2 –ში (უძრავი ძეგლი) გადაუდებელი სამუშოების ჩატარების შესახებ (ესკიზის წინასწარი შეთანხმების ეტაპი), განსახილველად წარედგინა საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებულ სამეცნიერო–მეთოდურ საბჭოს, რომლის დასკვნის საფუძველზეც, საკითხს, ესკიზის წინასწარი შეთანხმების ეტაპზე, მიეცა დადებითი შეფასება შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით, კერძოდ "ჩატარდეს შენობის დეტალური კვლევა, შენობა აუცილებლად უნდა აღდგეს პირვანდელი სახით", " აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს ავთენტური ნაგებობა და ფორმები" (გაერთიანებული სამეცნიერო–მეთოდური საბჭოს გადაწყვეტილება –დოკუმენტი №137169, 01.05.2012წ.). პროექტის შესათანხმებლად და ნებართვის გასაცემად საჭიროა წარმოადგინოთ სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია .

• სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

• თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.